# შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა ....................................................................................3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ..................................................................................5
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი) ...........................................................................6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ...........................................................................................7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.........................................................................................................8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები .........................................................................15

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

**შპს ,,საფეხბურთო კლუბ გაგრა”-ს მენეჯმენტს**
ჭ. ლომთათიძის ქუჩა №51
ქ. თბილისი, საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

1. ჩვენ ჩავატარეთ **შპს „საფეხბურთო კლუბი გაგრას “-ს** (შემდგომში “კლუბი”) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების, სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობისა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებასა და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, „*გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ*“. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

   სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

   მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

**დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა** ***(გაგრძელება)***

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

4. კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც მოხდა პროგრამის გადაგრძელება 2021 წლის ბოლომდე, ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის 2021 წლის შემდეგ კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამა.

   ზემოთაღნიშნული დაფინანსება მნიშვნელოვანია 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დარიცხული ვალდებულებების დასაფარავად. ამასთანავე, მიმდინარე პერიოდში კლუბმა განიცადა მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კლუბის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რომელიც სათანადოდ და სრულად არ არის გახსნილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

**პირობითი მოსაზრება**

5. ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს მე-4 აბზაცში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

**ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა**

6. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებული სხვა მხარის მიერ, გარდა კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544*
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011*

ნოემბერი 1, 2021
თბილისი, საქართველო

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

## კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## საბალანსო უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:

**საფეხბურთო კლუბი ბაზრა**

| საბალანსო უწყისი | 31.08.2021 | 31.08.2020 |
|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 58,063 | 12,276 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| სხვა დებიტორული დავალიანება | 87,407 | |
| საგადასახადო აქტივები | 7,451 | 50,433 |
| მატერიალური მარაგები | 91,036 | 36,598 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | **243,957** | **99,307** |
| | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 53,268 | 44,610 |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | | |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | 967 | 1,136 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | | |
| ინვესტიციები | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | **54,235** | **45,746** |
| | | |
| მთლიანი აქტივები | 298,192 | 145,053 |
| | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | | |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | 83,071 | 62,721 |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | | |
| მოკლევადიანი ანარიცხები | | |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 148,423 | 33,969 |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | **231,494** | **96,690** |
| | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| ბანკის და სხვა სესხები | 734,223 | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | | |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი ანარიცხები | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | **734,223** | **-** |
| | | |
| სულ ვალდებულებები | 965,717 | 96,690 |
| | | |
| **მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)** | **(667,525)** | **48,363** |
| | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალი | 1,320,876 | 973,833 |
| გაუნაწილებელი მოგება | (1,988,401) | (925,470) |
| სხვა რეზერვები | | |

**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა**
**საბალანსო უწყისი**
**(ეროვნული ლიცენზირება)**

ლიცენზიის მაძიებელი:

**საფეხბურთო კლუბი გაგრა**

| საბალანსო უწყისი | 31.08.2021 | 31.08.2020 |
|---|---|---|
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი | (667,525) | 48,363 |
| | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები | 298,192 | 145,053 |
| **კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)** | TRUE | TRUE |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | (220,511) | 100,821 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | (630,514) | (82,888) |
| კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | 183,500 | 30,430 |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | | |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | (667,525) | 48,363 |
| **შემოწმება** | TRUE | TRUE |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | | |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | - | - |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | - | - |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | |
| პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის ბოლოს | - | - |
| შემოწმება | TRUE | TRUE |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 25,10,21

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და გვარი):

დირექტორი: გოდერძი ჩიხრაძე თარიღი: 25.10.2021

**საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)**

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

## კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## მოგება-ზარალის უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი

**საფეხბურთო კლუბი ბაგრა**

| მოგება-ზარალის უწყისი | 31.08.2021 | 31.08.2020 |
|---|---|---|
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | 2,794 | |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - სანქციები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| სულ ამონაგები ბილეთებიდან | 2,794 | - |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| სულ სპონსორობა და რეკლამა | - | - |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| სულ ტრანსლაციის უფლებები | - | - |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | | |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | | |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| სულ კომერციული | - | - |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | 14,827 | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | | |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | 12,396 |
| სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა | 14,827 | 12,396 |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | 6,164 | 4,200 |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | 934,973 | 481,500 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | 5,358 | 18,548 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | 8,578 |
| სულ სხვა შემოსავალი | 946,495 | 512,826 |
| **სულ შემოსავალი** | **964,116** | **525,222** |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე | - | - |
| ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება | (566,228) | (210,767) |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (11,944) | (4,215) |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები | (578,172) | (214,982) |
| სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება | (303,454) | (236,725) |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (5,589) | (4,651) |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები | (309,043) | (241,376) |
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები | (887,215) | (456,358) |

# კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
## მოგება-ზარალის უწყისი
## (ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი

**საფეხბურთო კლუბი გაგრა**

| მოგება-ზარალის უწყისი | 31.08.2021 | 31.08.2020 |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | (7,732) | (7,346) |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | | |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | | |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)** | **(7,732)** | **(7,346)** |
| მატჩის დღის ხარჯები | (379,246) | (59,202) |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | | - |
| კომერციული აქტივობების ხარჯები | - | - |
| უძრავი ქონებისა და სათაესოების ხარჯები | (136,655) | (38,538) |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | (4,273) | (982) |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | - | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | (141,191) | (45,345) |
| სულ სხვა საოპერაციო ხარჯი | (661,365) | (144,067) |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | **(1,556,312)** | **(607,771)** |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით | - | - |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | - | - |
| ფინანსური შემოსავალი | | |
| ფინანსური ხარჯი | (35,074) | |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | **(35,074)** | **-** |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | - | - |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | (3,244) | (339) |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | **(3,244)** | **(339)** |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | | |
| [illegible] | (630 514) | (82 869) |
| დივიდენდები | | |
| [illegible] | (630 514) | (82 888) |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [illegible] თარიღი: 25.10.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და გვარი): თარიღი: 25.10.2021

დირექტორი: ჩიხრაძე გოდერძი

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა**
**ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი**
**(ეროვნული ლიცენზირება)**

ლიცენზიის მაძიებელი:

**საფეხბურთო კლუბი გაგრა**

| ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი | 31.08.2021 | 31.08.2020 |
|---|---|---|
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | (1,793,456) | (532,942) |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | 8,578 |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | (17,650) | (4,244) |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან** | (17,650) | 4,334 |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | 700,000 | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | (45,000) | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | 183,500 | 30,430 |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან** | 838,500 | 30,430 |
| | | |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | 952,594 | 491,146 |
| | | |
| **წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში** | (20,012) | (7,033) |
| | | |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია** | | |
| | | |
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 78,076 | 19,309 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | (20,012) | (7,033) |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 58,063 | 12,276 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 58,063 | 12,276 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად, თარიღი: 05.10.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და სახელი):

დირექტორი: ჩიხრაძე გოდერძი

თარიღი: 25.10.2021

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1. კლუბის შესახებ

„საფეხბურთო კლუბ გაგრას“ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კლუბის დირექტორია გოდერძი ჩიხრაძე.

კლუბის სამომავლო მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონში ფეხბურთის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა;
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით საფეხბურთო ტურნირების ჩატარება;
- ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა და მათი წახალისება;
- დასახული მიზნების მისაღწევად კლუბი ამზადებს და ახორციელებს გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებსა და პროექტებს, შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად;
- კლუბი შეიძლება ეწეოდეს აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება კლუბის მიზნების განხორციელებას.

კლუბის სამუშაო გეგმას წარმოადგენს - საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება უეფა-ს სტანდარტებთან. დაგეგმილია კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელების შემდგომში ტრანსფერებით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს მეწილეები არიან :

| მეწილე | 31-აგვ-2021 | 31-აგვ-2020 |
|---|---|---|
| გოდერძი ჩიხრაძე | 25 % | 25 % |
| ბესიკ ჩიხრაძე | 75 % | 75 % |
| | **100 %** | **100 %** |

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

- უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| ვალუტა | 31-აგვ-2021 | 31-აგვ-2020 |
|---|---|---|
| ლარი / 1 აშშ დოლარი | 3.1170 | 3.0696 |
| ლარი / 1 ევრო | 3.6768 | 3.6243 |

- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ფასით - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| აქტივების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| ავტომობილები | 5 წელი |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5-7 წელი |
| სპეც. ტექნიკა | 5 წელი |

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

- შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, UEFA-სგან მისაღები თანხები და სხვა შემოსავლები.

**დაფინანსება / სუბსიდია -** მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

**სხვა შემოსავალი** - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფეტქურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვთარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა

დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

**შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო *(გაგრძელება)***

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე;

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, საფეხბურთო კლუბისათვის არ არის ცნობილი 2021 წლის შემდგომ დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის შესახებ.

**შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

| ფული და ფულის ეკვივალენტები | 31-აგვ-2021 | 31-აგვ-2020 |
|---|---|---|
| ქართული ლარი ბანკში (GEL) | 50,932 | 12,276 |
| ევრო ბანკში (EUR) | 7,131 | - |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **58,063** | **12,276** |

**შენიშვნა 5. სხვა დებიტორული დავალიანება**

სხვა დებიტორული დავალიანება შედგება მომწოდებელზე გადახდილი ავანსებისგან.

| *შინაარსი* | 31-აგვ-2021 | 31-აგვ-2020 |
|---|---|---|
| შპს „დეველოპმენტ გრუპი“ | 69,530 | - |
| შპს „ივანა“ | 12,153 | - |
| სხვა გადახდილი ავანსები | 5,724 | - |
| **სულ მიმდინარე დებიტორული დავალიანება** | **87,407** | - |

**შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური მარაგი**

სასაქონლო მატერიალური მარაგი შედგება სპორტული ტანსაცმლისა და საწვავის ნაშთისაგან. 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის სასაქონლო მატერიალური მარაგები შეადგენდა 91,036 ლარს (2020 წლის 31 აგვისტოს: 36,598 ლარი).

**შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები**

| **2021 წელი 31 აგვისტოს მდგომარეობით** | ავტომობილები | ავეჯი და აღჭურვილობა | სპეც. ტექნიკა | სულ |
|---|---|---|---|---|
| *ისტორიული ღირებულება* | | | | |
| ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით | 61,129 | 23,220 | 11,222 | **95,571** |
| შესყიდვა | 3,762 | 11,551 | - | **15,312** |
| ჩამოწერა | - | - | - | **-** |
| **ნაშთი 31.08.2021 მდგომარეობით** | **64,890** | **34,771** | **11,222** | **110,883** |
| *აკუმულირებული ცვეთა* | | | | |
| ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით | (34,887) | (8,866) | (6,238) | **(49,990)** |
| პერიოდის ცვეთა | (3,812) | (3,148) | (665) | **(7,625)** |
| **ნაშთი 31.08.2021 მდგომარეობით** | **(38,699)** | **(12,014)** | **(6,902)** | **(57,615)** |
| *წმინდა საბალანსო ღირებულება* | | | | |
| ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით | 26,242 | 14,354 | 4,984 | **45,580** |
| **ნაშთი 31.08.2021 მდგომარეობით** | **26,192** | **22,757** | **4,320** | **53,268** |

| **2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით** | ავტომობილები | ავეჯი და აღჭურვილობა | სპეც. ტექნიკა | სულ |
|---|---|---|---|---|
| *ისტორიული ღირებულება* | | | | |
| ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით | 57,385 | 18,417 | 11,222 | **87,024** |
| შესყიდვა | 3,358 | 886 | - | **4,244** |
| ჩამოწერა | - | - | - | - |
| **ნაშთი 31 აგვისტო 2020** | **60,743** | **19,303** | **11,222** | **91,268** |
| *აკუმულირებული ცვეთა* | | | | |
| ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით | (28,650) | (5,796) | (4,992) | **(39,438)** |
| პერიოდის ცვეთა | (4,483) | (1,906) | (831) | **(7,220)** |
| **ნაშთი 31.08.2020 მდგომარეობით** | **(33,133)** | **(7,702)** | **(5,823)** | **(46,658)** |
| *წმინდა საბალანსო ღირებულება* | | | | |
| ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით | 28,735 | 12,621 | 6,230 | **47,586** |
| **ნაშთი 31.08.2020 მდგომარეობით** | **27,610** | **11,601** | **5,399** | **44,610** |

**შენიშვნა 8. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ**

2021 წლის 31 აგვისტოსთვის ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ წარმოადგენს გადასახდელ ხელფასებს 83,071 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 აგვისტოსთვის: 62,721 ლარი).

**შენიშვნა 8. მიმდინარე ვალდებულებები**

| *შინაარსი* | **31-აგვ-2021** | **31-აგვ-2020** |
|---|---|---|
| ვალდებულება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ | 84,841 | 5,950 |
| ვალდებულება შპს „სპორტმშენსერვისი“-ს მიმართ | 21,370 | 8,455 |
| ვალდებულება შპს „სპორტს დეველოპმენტი“-ს მიმართ | 7,500 | - |
| ვალდებულება შპს „საფეხბურთო კლუბი იბერია“-ს მიმართ | 8,455 | - |
| ვალდებულება შპს "ორბი“ -ს მიმართ | 6,900 | 1,000 |
| ქფგფ-დან მიღებული ავანსები | 3,000 | 3,000 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 16,357 | 15,564 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | **148,423** | **33,969** |

**შენიშვნა 9. ბანკი და სხვა სესხები**

2021 წლის 31 აგვისტოსთვის ბანკის და სხვა სესხები შედგება შპს „საფეხბურთო კლუბი გაგრა“-ს მიერ მიღებულ სესხებისგან და შეადგენს 700,000 ლარს. (2020 წლის 31 აგვისტოსთვის: 0 ლარი).

2020 წლის 12 ოქტომბერს საკრედიტო ხელშეკრულებით კლუბს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან მიღებული აქვს 45,000 ლარის ოდენობით სესხი. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 15%. სესხის დაფარვის ვადა არის 2021 წლის 1 აპრილი. 2021 წლის 31 აგვისტოსთვის სესხს დაერიცხა პროცენტი 851 ლარის ოდენობით. 2021 წლის 31 აგვისტოსთვის კლუბს სრულად აქვს დაფარული 2020 წლის 12 ოქტომბერს აღებული სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს სასესხო ვალდებულება.

2021 წლის 17 მარტის საკრედიტო ხელშეკრულებით კლუბს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან მიღებული აქვს 350,000 ლარის ოდენობით სესხი. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 15%. სესხის დაფარვის ვადა არის 2022 წლის 3 იანვარი. 2021 წლის 31 აგვისტოსთვის სესხს დაერიცხა პროცენტი 23,292 ლარის ოდენობით.

2021 წლის 8 ივნისს საკრედიტო ხელშეკრულებით კლუბს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან მიღებული აქვს 350,000 ლარის ოდენობით სესხი. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 15%. სესხის დაფარვის ვადა არის 2022 წლის 3 იანვარი. 2021 წლის 31 აგვისტოსთვის სესხს დაერიცხა პროცენტი 10,931 ლარის ოდენობით.

**შენიშვნა 10. სააქციო/საწესდებო კაპიტალი**

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,320,876 ლარს (2020 წლის 31 აგვისტოს: 973,833 ლარი).

**შენიშვნა 11. სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან**

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან, რომლებიც 2021 წლის 31 აგვისტოსთვის შეადგენდა 934,973 ლარს, მოიცავს სსიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში (2020 წლის 31 აგვისტოს: 481,500 ლარი).

**შენიშვნა 12. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება**

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას.

**შენიშვნა 13. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება**

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს კლუბის სხვა პერსონალზე - მწვრთნელები, ადმინისტრაციული, სამედიცინო და სხვა პერსონალზე დარიცხულ ძირითად ხელფასსა და პრემიას.

**შენიშვნა 14. მატჩის დღის ხარჯები**

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს მატჩის საორგანიზაციო საკითხებისთვის გაწეული ხარჯების საფასურს, ტრანსპორტირების, სასტუმროსა და სამედიცინო ხარჯებს.

**შენიშვნა 15. უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები**

უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები მოიცავს ავტომობილებისა და სტადიონის იჯარის ხარჯს, რომელიც 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენდა 136,655 ლარს (2020 წლის 31 აგვისტოს: 38,538 ლარი).

**შენიშვნა 16. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს ძირითადად საწევრო გადასახადს, სალიცენზიო მოსაკრებელს, ჯარიმის ხარჯებს და სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

**შენიშვნა 17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

- **სასამართლო დავები**

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

**შენიშვნა 20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

| დაკავშირებული მხარე | ოპერაციის ტიპი | 31-აგვ-2021 | 31-აგვ-2020 |
|---|---|---|---|
| კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა | ხელფასის ხარჯი/პრემია | 27,500 | 27,500 |

**შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 2021 წლის ბოლომდე ეროვნულ ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინენსებით - 700,000 ლარი, ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 500,000 ლარი. პრემიალური და საპრიზო ფონდის შესახებ ინფორმაცია არ არის ცნობილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის.

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19") გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი რომელთაც შეზღუდეს კლუბის ყოველდღიური საქმიანობა.

**შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები** *(გაგრძელება)*

დღევანდელი მდგომარეობით, ყველა შესაბამისი რეგულაციების დაცვით სფფ-ის ეგიდით გამართული ყველა ჩემპიონატი, მათ შორის, კრისტალბეთ ეროვნული ლიგა, კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2, ლიგა 3, ყველა ტურნირი შეუფერხებლად მიმდინარეობს და ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს ხელი არ შეუშლია.

გამომდინარე იქიდან რომ ვითარება სწრაფად იცვლება, კლუბის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება ამ მოვლენას კლუბის სამომავლო საქმიანობაზე. კლუბის შეფასებით COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კლუბის უნარზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კლუბმა სრულად დაფარა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთან არსებული 700,000 ლარის სასესხო ვალდებულება.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)

ლიცენზიის მაძიებელი:

საფეხბურთო კლუბი გაგრა

| ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი | 31/08/2021 | 31/08/2020 | კომენტარი |
|---|---|---|---|
| | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში | 16,000 | 13,500 | უ19მწვ ხელფ -ი.ტაბალუა - 10000 უ19 მწვ.ს ხელფ- ნ.ზანძავა-6000 |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის (18-წლამდე) | 14,000 | 12,000 | უ17 მწვ.ს ხელფ-ე.ლეჩინაშვილი-7000 უ15 მწვ.ს ხელფ-ა.ქელიძე -7000 |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე) | | | |
| საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.) | | 8,345 | |
| სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია) | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი | | 1,500 | |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით) | 4,253 | 829 | ბექუაია სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულება 01,02,21 |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი | 11,616 | 18,455 | ეკიპირება-მალხაზ ოქიჩაიშვილი 9261, მპს იმედი -1235, ბრენდირება-ვინერს სპორტ1120 |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა) | 3,000 | 3,500 | ნორჩი დინამო2016 სტადიონის იჯარა 3000ხელშეკ 03,01,21 |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი | 20,000 | 3,500 | საწევრო სფფ-ში19წ-მდე 10000, 17წ-მდე 50000, 15წ-მდე -5000 |
| ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.) | | | |
| | | | |
| **შემოსავლები** | | | |
| უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.) | | | |
| უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | 15,500 | | |
| ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! | | | |
| **უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი** | 15,500 | - | |
| | | | |

**ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:**

უფლებამოსილი პირი: დირექტორი:გოდერძი ჩიხრაძე

თარიღი: 25,10,2021

**ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:**

აუდიტორული კომპანია:

უფლებამოსილი წარმომადგენელი:

თარიღი:

- დოკუმენტის დასასრული -